პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელი ჯარი

ფასი 3 კაპ.

კვირა, 18 აპრილი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ევანგულოვის ქ. ელსმენი 2—24.

—

განცხადების ფასი პირველ გვერდ. 80 კ. სტრ. 4 გვ. 40 კ.

84 (1079) | 1 და 2 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | 84 (1079)

## სახელმწიფო საგეგმო უწყების ახალი კამპანიისათვის

ამ ჟამათ ამიერ-კავკასიის ფედერაციის საგეგმო უწყება ახალი კამპანიის ჩატარებისთვის ემზადება.

ეს ახალი კამპანია გამოიხატება იმაში, რომ მას სურს შეადგინოს სტატისტიკური აღწერა, ჩვენი ფედერაციის სახალხო მეურნეობის.

სახალხო მეურნეობის მდგომარეობის ციფრებში გამოხატვა, ჩვენ საშუალებას მოგვცემს იმისათვის, რომ უფრო ნათლად და გარკვევით გვქონდეს წარმოდგენილი მისი განვითარების ყოველი საფეხურები.

სახელმწიფო საგეგმო უწყება სტატისტიკურ აღწერას მოახდენს ჩვენი ფედერაციის სახალხო მეურნეობის შემდეგ დარგებში: ქალაქის მრეწველობის, სასოფლო-მეურნეობის ტრანსპორტის, შრომის, ფინანსების და სხვა.

ამ აღწერით შესაძლებელი შეიქნება ამ დარგების, 1913 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1923—24 და 25 წლამდე, მათი მდგომარეობის გათვალისწინება და ჩვენ ამით საშუალება მოგვეცემა ერთ გარკვეულ ფორმულაში ჩამოვაყალიბოთ ფედერაციის სახალხო მეურნეობის ნამდვილი სახე და აგრეთვე მისი მომავალი განვითარების პერსპექტივები.

ჩვენი ფედერაციის სახალხო მეურნეობის მომავალი განვითარების გზებს, მხოლოდ და მხოლოდ ამ კამპანიის ჩატარებით ე. ი. მისი არსებული მდგომარეობის სტატისტიკური აღწერით თუ შევძლებთ.

აი სწორეთ ამ პროცესში შესაძლებელი იქნება დავინახოთ ისეთი მხარეები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ისეთი ზომების გამომუშავების, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი სახალხო მეურნეობის კარგ განვითარებას. მართლაც ასეთი ზომების გამომუშავება მეტად დიდი ღირებულების მატარებელი იქნება, თუ გნებავთ იმ მოსაზრების გამო, რომ ჩვენი ფედერაციის სახალხო მეურნეობის სწრაფი და სათანადო განვითარებაზეა დამოკიდებული, ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლების განმტკიცება და გამაგრება.

ჩვენი ფედერაციის რესპუბლიკების მატერიალურათ უზრუნველყოფა, უპირველესათ ყოვლისა სათანადოთ მოამზადებს ჩვენს ხელისუფლებას მომავალი ომებისათვის. და მაშასადამე ჩვენ დიდი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ამ საქმის სათანადოთ შესრულებას.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ სახელმწიფო საგეგმო უწყების ეს ახალი კამპანია მართლაც მეტად საპასუხისმგებლო და ძნელი საქმეა.

მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ საქმეს იგი გადაწყვეტს დიდი მომზადებით და საქმის ცოდნით და ამ რიგათ გადადგამს სათანადო ნაბიჯს ჩვენი ფედერაციის რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის შემდეგი ზრდის და განვითარების საკეთილდღეოთ.

## მუსოლინი აღმოსავლეთისაკენ იყურება.

გალაღებული და გამარჯვებით დამთვრალი იტალიის ფაშიზმი და მისი დიქტატორი— მუსოლინი აღმოსავლეთისაკენ იყურება. როდესაც მოასწორიგა მან თავისი შინაური საქმეები, დათრგუნა რა მუშათა მოძრაობა, ჩაახშო ყველა ოპოზიციური პარტიები, მთელს ქვეყანაში გაამეფა საშინელი ტერორი და ყოველგვარი თავისუფალი აზრის დევნა გადაიქცა ჩვეულებრივ მოვლენათ; ახლა მის საზრუნავს შეადგენს იტალიის საზღვრების გადიდება.

მისი საახალშენო პოლიტიკა მიმართულია არა მარტო ტუნისისა და აღმოსავლეთ ხმელთა შუაზღვის მხარისაკენ, არამედ დანარჩენ აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენაც. სამხედრო გემების აღლუმი და მუსოლინის მოგზაურობა ტრიპოლში და იქ ნათქვამი სიტყვა—იტალიის მომავალი ზღვაზეა—აძლევს განსაზღვრულ გეზს იტალიის ახალგაზრდა იმპერიალიზმს.

განსაკუთრებით იტალიის იმპერიალიზმის ამოძრავება საყურადღებო შეიქნა განახლებულ ოსმალეთისათვის. ეს გარემოება არ შეიძლება გამოპაროდა ანგორის ფხიზელ პოლიტიკურ წრეებს და მათ გაზეთებს. ისინი დაწვრილებით იხილავენ ამ საკითხს და აფრთხილებენ საზოგადოებრივ აზრს. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ფაშიზმი იწყებს ახალ საახალშენო პოლიტიკის წარმოებას, და კითხულობენ: ხომ არ არის მიმართული აგრეთვე იტალიის იმპერიალისტური პოლიტიკა ოსმალეთის წინააღმდეგაც?

ერთ ოპოზიციურ გაზეთს „აქშამს“ მეტად აშინებს მუსოლინის მიერ ნათქვამი შემდეგი სიტყვა: „ჩვენი თვალი მიპყრობილია აღმოსავლეთისაკენ“. გაზეთს საჭიროთ მიაჩნია მოვლენებისადმი ყურადღებით თვალყურის დევნება, რათა შეუმჩნეველი არ დარჩეს არც ერთი თვალსაჩინო მოვლენა, რომელიც შესაძლებელია გადაიქცეს ოსმალეთის ახალ საფრთხეთ.

როდესაც ჟენევაში ლაპარაკობენ მშვიდობიანობაზე და განიარაღებაზე, ჩვენ ვიცით, რომ ეს თვალთმაქცობაა. ყველა იმპერიალისტური სახელმწიფოები ამავე დროს ფარულად დიდი გულმოდგინებით მუშაობენ შეიარაღების გაძლიერებლად და ახალი ქვეყნების დასაპყრობათ. მეორე ინტერნაციონალის ბელადები, რომლის დიდი ნაწილი ახლა ბურჟუაზიულ მთავრობებში შედიან, მათი მონაწილეობით და დასტურით ხდება ახალ-ახალი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება შეიარაღების გაძლიერებლათ, მუშათა მასებს კი თვალებს უხვევენ და ერთა ლიგაში გაცხარებით იბრძვიან ვითომდაც საერთო მშვიდობიანობის დასამყარებლათ.

ფაშიზმის სამშობლო იტალიაა. მის გავრცელებას ხელს უწყობენ სხვა და სხვა ჯურის სოციალისტები. მაგრამ არ დაივიწყებს ის დრო, როდესაც ამ სოციალისტების ასეთ ბნელ საქმეებს ერთი მხრივ და მეორე მხრივ კი მუსოლინის აღვირწახსნილ სურვილებს, ბოლოს მოუღებს იტალიის გამოფხიზლებული, რევოლიუციონური პროლეტარიატი. მაშინ კი იტალიის იმპერიალიზმის საფრთხე ოსმალეთის მშრომელთათვის საშიში აღარ იქნება.

თ. განგეს.

# ახალი რადიო ამბები

## ჩინეთის ამბები.

### სახალხო არმია გავიდა პეკინიდან.

16 აპრილს სახალხო არმიამ დასცალა პეკინი. მუკდენის ჯარებმა მიაღწიეს პეკინის კარებთან, მაგრამ ქალაქში ჯერ არ შედიან.

როგორც გამოირკვა, სახალხო არმია ღალატის მსხვერპლი გახდა: ტიენ-ვეი-ჩინის ჯარები არ მიეშველა მას და იმავ დროს მე-9 დივიზიამაც დასტოვა პოზიცია ტიენ-ჩოუს რაიონში.

ძალა-უფლება ქალაქში სამოქალაქო კომიტეტის ხელშია.

### პოლიტიკური მდგომარეობა პეკინში.

გაზეთების უმეტესობა მწუხარებას გამოსთქვამს სახალხო არმიის პეკინიდან გასვლის გამო, ვინაიდან მას სთვლიან „სამაგალითო არმიად, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ხალხს“.

ამჟამად არაფრის თქმა არ შეიძლება გადაჭრით პეკინის მდგომარეობაზე, თუმცა, ცხადია, რომ ფაქტიურად პეკინი ჩან-ძო-ლინის ხელშია.

იაპონიის წყაროებიდან გამოსულ ცნობებით, დუან-ცზი-ჩჟუი კვლავ გამოჩნდება პოლიტიკურ ასპარეზზე. უ-პეი-ფუს პოზიცია ჯერ გამოურკვეველია.

### მოლაპარაკება აბდ-ელ-ქერიმთან.

რიფების ბელადს—აბდ-ელ-ქერიმსა და საფრანგეთ-ესპანეთს შორის მოლაპარაკება დაიწყება ორშაბათს. საფრანგეთისა და ესპანეთის დელეგაცია პირველ რიგში ეცდება დროებითი ზავის ჩამოგდებას.

### საფრანგეთის რევოლიუც. პროფკავშირთა მოწოდება.

1-ლი მაისის მომავალ დღესასწაულთან დაკავშირებით საფრანგეთის რევოლიუციონურ პროფკავშირთა გაერთიანებამ გამოაქვეყნა მოწოდება საფრანგეთის პროლეტარიატისადმი, რომელშიაც ნათქვამია: „საჭიროა, რათა პროლეტარიატმა დაიწყოს კამპანია სამუშაო ხელფასის გადიდებისა და 8 საათის სამუშაო დღის ხელშეუხებლობისთვის.

მშრომელებმა უნდა იბრძოლონ ვალიუტის განმტკიცებისთვის, მაროკოსა და სირიაში მშვიდობიანობისთვის, პროფკავშირთა უფლებების დაცვისა, საყოველთაო ამნისტიისა და ფაშისტურ ლიგების განიარაღებისთვის.

## სსრკ-ს ცაკის მეორე სესია.

### ამხ. კუიბიშევის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში კუიბიშევი შეეხო ჩვენი ბიუჯეტის სხვა და სხვა მხარეებს და დასასრულ განაცხადა:

„ბიუჯეტის გარშემო საბიუჯეტო კომისიის მიერ შემოტანილი წინადადებები მიღებულ იქნა ცაკის წევრების მიერ. ეს გვიმტკიცებს იმას, რომ საბიუჯეტო კომისია სწორად მიუდგა ბიუჯეტის შეფასებას და სწორად დასახა დირექტივები მომავალი ბიუჯეტის შედგენისთვის.

### ამხ. ბრიუხანოვის საბოლოო სიტყვა

ამხ. ბრიუხანოვი ეხება სასოფლო—სამეურნეო გადასახადს და ამბობს, რომ მთავრობამ მიიღო ყოველგვარი ზომა გადასახადის შემცირებისათვის. გადასახადის სიმსუბუქეს აღნიშნავს თვით გლეხობა და ამხანაგები ადგილებიდან.

რაც შეეხება ადმინისტრატიულ აპარატს, ამ მხრივ ჩვენ მივდივართ ხარჯების შემცირებისაკენ მის შესანახად.

ჩვენ უნდა ვეცადოთ—ჩვენი ფული საწარმოო ხარჯებისთვის გადაიდოს არა ბიუჯეტის, არამედ კრედიტის წესით.

ჩვენი ამოცანაა შევკრიბოთ სახელმწიფოში არსებული ფული და მივმართოთ ის წარმოებაში, რასთან დაკავშირებითაც გაიზრდება ჩვენი ბიუჯეტი და განმტკიცდება ჩვენი ვალიუტა.

### ამხ. ჩუბარის მოხსენება.

16 აპრილს მოხსენება გააკეთა უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ჩუბარმა. ის შეეხო საბჭოთა მთავრობის ეროვნულ პოლიტიკას, კოოპერაციას, სასოფლო მეურნეობის მომავალ გეგმებს, მრეწველობას, ელექტროფიკაციას და დასასრულ გაუკეთა რა ჯამი უკრაინის მთავრობის მუშაობას, განაცხადა: „მთავრობის წინაშე სდგას ამოცანა აამაღლოს მთელი მოსახლეობის კულტურული დონე.

საბჭოთა უკრაინა დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას და მოიპოვებს ყოველივე იმას, რაც მას ეკუთვნის უფლებით“.

საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი უკრაინის მთავრობის მოხსენების გარშემო.

## ამერიკის პრესა ჩიჩერინის ნოტის შესახებ

დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ფრთის გაზ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ჩიჩერინის ნოტის შესახებ სწერს):

„ჩიჩერინის ნოტა დაწერილია მოხდენილად. სახელმწიფოები, რომ მართლაც დაინტერესებული ყოფილიყო საბჭოთა კავშირის მონაწილეობით კონფერენციაზე და აძლევდენ მის მონაწილეობას დიდ მნიშვნელობას, მათ ადვილად შეეძლოთ მოენახათ სხვა ადგილი კონფერენციისთვის შვეიცარიის გარეშე“.

გაზეთი ურჩევს ერთა ლიგას ჩაატაროს განიარაღების კონფერენცია საბჭოთა კავშირის დაუსწრებლად და აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა ერთობ გადაამეტეს საბჭოთა კავშირის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის თანამშრომლობაში.

გაზეთი დასძენს, რომ საბჭოთა კავშირს არ აქვს აგრესიული (დაპყრობითი) ზრახვები.

---

ორშაბათს, 19 აპრილს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების

**მორიგი სხდომა:**

1. კომუნალური სექცია—წითელ თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი).
2. საფინანსო სექცია—აღმ. საფინანსო განყოფ.
3. ჯანმრთელობის სექცია—აღმ. ჯანმრთელობის განყოფილებაში. /მ-
4. განათლების სექცია—აღმ. განათლების განყოფილებაში. 1924
5. სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის—აღმ. საადგილმამულო განყოფილებაში.

თავის სექციების მიხედვით საბჭოს წევრთა დასწრება სავალდებულოა.

...კ გამოქვეყნებული ...ნება მორიგ გაწ... 04 წელში დაბალდ... იქალაქების.

# წითელ არმიელის საჭმლის ავკარგიანობაზე.

1925 წ. დამლევს, როდესაც თბილისის გარნიზონში, თანახმად კავკასიის წითელდროშოვან ლაშქრისადმი №372 ბრძანებისა, იყო დანიშნული კომისია იმის გამოსარკვევათ, თუ რა წარმატებით მიმდინარეობს თბილისში დაბანაკებულ ჯარის ნაწილებში წითელ არმიელის გამოკვება, კომისიის წევრები სადილ—ვახშმების შემოწმების დროს ხშირათ ეკითხებოდნენ წითელ არმიელთ, როგორ მოსწონთ ის საჭმელი, რომელიც ეძლევათ მათ. ბევრ ალაგას სრული კმაყოფილნი იყვნენ საჭმლისა, მაგრამ ზოგიერთ ნაწილებში კი განაცხადეს, რომ „პური არ ვარგაო, ჰამა ვერა გვაქვს კარგიო, უგემური და სულმუდამ ერთნაირი სადილები მზადდებაო". ამ უკმაყოფილების დროს ზოგიერთი არმიელები მიზეზებსაც ასახელებდნენ, როგორიცაა: ჯერ ერთი ფქვილის უვარგისობა, არსებულ საოვაგის ნორმების სიმცირე, სანოვაგის დაბალი ხარისხი და მზარეულის მიერ არ ცოდნა თავის საქმისა.

განვიხილოთ ყველა ეს მიზეზები სათითაოთ.

ცუდი ფქვილი ამ ჟამათ ძალიან იშვიათი მოვლენაა ჯარში და გამონაკლისს შეადგენს; ამას შეიძლება ჰქონდეს ადგილი მხოლოდ ერთეულის სამნეო დარგის უყურადღებობის გამო ფქვილის შენახვის დროს. ამის თავიდან აცილება კი ადვილი საქმეა, თუ რომ სამნეო დარგის გამგრიახი თვალი სულ მუდამ შეიხედავს ფქვილის საწყობში და ანგარიშს გაუწევს ფქვილის შენახვის საქმეს. ძალიან ხშირად ცუდი პურის გამოცხობის მიზეზი ფქვილი კი არ არის—თვით გამომცხობია; ამაში კი ბრალი მიუძღვის ერთეულის თავის თანაშემწეს სამნეო დარგში, ვინაიდან იგი არ აქცევს პურისცხობას სათანადო ყურადღებას.

ფქვილს ყველა ნაწილები ღებულობენ არმიის ერთსა და იმავე საწყობიდან ერთსა და იგივე თვისებებისას, პურის საცხობების მოწყობილობა თითქმის ყველგან ერთი და იგივეა. მაშ რაშია საქმე, რათაა ერთი ნაწილის პური უკეთესი და მეორის დაბალი თვისების? საქმე იმაშია, რომ იმ ნაწილებში, სადაც პური გამოდგა კარგი, პურის ცხობას, როგორც საერთო მნეობას, სათანადო ყურადღება ექცევა უფროსთა შემადგენლობის მხრივ, იქ კი,—სადაც დაბალი ხარისხის პურია, სულ წინაღმდეგ მოვლენას აქვს ადგილი, ერთეულის უფროსის თანაშემწე სამნეო დარგში უგულოთ ეპყრობა პურის ცხობას, ნაკლებ ანგარიშს უწევს მას და ამასთან სცდილობს, რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოს (ცხობის ნამატით) პურის ცხობაში.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთ ალაგას ფქვილი სულ მუდამ არ იცრება, როგორც ეს დაწესებულია (ფქვილის ხარისხის მიხედვით) შესაფერ საცერში, ცომის ზელის დროს,ასხამენ უფრო მეტს წყალს ვიდრე ეს საჭიროა, ან როგორც წესია ისე ვერ ახურებენ ღუმლებს და სხვა. აი ყველა ამ მიზეზებისა და არა უვარგისი ფქვილის გამო, ზოგიერთ ნაწილებში მართლაც არაა კარგი პური.

ნ. შ.

# როგორ სწარმოებს ჯგუფების (ათეულების) სამხედრო მომზადება

ქვეითა ნაწილებში პროგრამის თანახმად ტარდება ტაქტიკური—სასროლო მომზადება ჯგუფურად—2—3 კაცის შემადგენლობით.

ასეთ მომზადებას აქვს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან ის საფუძველს უყრის მთელს საველე და სასროლო მომზადებას, რომელიც ჩატარებულ იქნება ზაფხულზე.

ჯგუფების მუშაობის ძირითადი მომენტები ტაქტიკურ-სასროლო მომზადებაში მძიებელ მზვერავთა მოქმედების შესწავლაა: წყვილ მძიებელთა მოძრაობის ტეხნიკა; ტეხნიკური კავშირის საშუალებები მძიებელთა ბირთვთან (შთანგების ჩვენება დღისით და ღამით); წყვილ მძიებელთა მიერ ადგილობრივ საგნების დათვალიერება, გასინჯვა; წყვილ მძიებელთა მუშაობა მტერთან შეხვედრისას, სხვა და სხვა პირობებში; სხვა და სხვა გარეგნული ნიშნების საშუალებით მტრის ძალის რაოდენობის შეტყობა, გაგება, როგორც ადგილზე, ისე მოძრაობაში; ქიმიური ძიების შესწავლა, მუდმივი მოწამვლავი ნივთიერების შემჩნევა ადგილზე; ქიმიური თავდასხმის განზრახვის წინასწარ შეტყობა—შემჩნევა და სხვა.

გარდა ამისა, ჯგუფად შეკრებილ მეომრები სწავლობენ თავიანთი ჯარების დაცვას ადგილზე (დღისით და ღამით), სწავლობენ, თუ როგორ უნდა შეასრულონ მძიებლის, მზვერავების, კავშირის სამსახური, ადგილ-მდებარეობის დათვალიერება—გასინჯვა, და აგრეთვე თუ როგორ უნდა იმოქმედონ მზვერავებმა თავის მზვერავებთან (როგორ უნდა იცნოს თავისიანები) და მტრის მზვერავებთან შეხვედრისას. ამასთან მეომრებმა უნდა შეისწავლონ, თუ როგორ უნდა აწარმოონ დღიურის სამსახური ქიმიურ თავშესაფრებთან და უთვალთვალონ ჰაერს.

ყველა ეს ზემო-ჩამოთვლილი უნდა დაამუშაოს და შეისწავლოს თვითეულ მეომარმა ცალკეული სწავლების დროს. აქ მეომარი არანაკლებ პასუხისმგებელია თავის ამხანაგების მოქმედებაში, ვინემ თავისაში, როგორც ეს ხდება ცალკეული სწავლების დროს: ამ პერიოდში მეომარმა რაც შეიძლება უკეთ უნდა იცოდეს რა და როგორ უნდა აკეთოს, როცა ის მოხვდება საბრძოლო მდგომარეობის ამა თუ იმ პირობებში და მხედველობაში უნდა ჰქონდეს თავისი ჯგუფის საერთო ამოცანის ასრულება.

ჯგუფური (2—3 კაცი) სწავლება, და აგრეთვე მთელი ათეულის შემადგენლობაში თითქმის იგივეა, როგორც ცალკეულ მეომრის სწავლება, სადაც ის სწავლობს და ეჩვევა თავის მოქმედების დაკავშირებას მთელი ჯგუფის, ათეულის მოქმედებასთან; ამასთანავე ის რჩება დამოუკიდებელი სროლისთვის ხელსაყრელ და მოხერხებული ადგილის ამორჩევაში, გადარბენისა და გადახოხვისთვის მიმართულების შერჩევაში და სხვა.

ი. ბ.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი"

# ბგერათ-შენიღბვა.

როგორც ვიცით შენიღბვა მდგომარეობს იმაში, რომ უნდა იცოდე, როგორ დაჰფარო შენი მოქმედება და მოთავსების ადგილი მტრისაგან, უნდა შეგეძლოს მტრის შეცდომაში შეყვანა, მოტყუილება, ე. ი. უნდა აჩვენო მტერს ის, რაც ჩვენ სინამდვილეში არ გვაქვს.

თუ რომ ჩვენ დავფარავთ ჩვენს მოქმედებას ერთ ადგილზე, ხოლო მეორე ადგილზე მას უჩვენებთ ყალბ მდგომარეობას, ყალბ მოქმედებას, ჩვენი ნაწილი ნაკლებად დაზარალდება, ხოლო რაც მთავარია, ჩვენ საშუალება გვექნება მოულოდნელად დავკრათ მტერს იმ ადგილზე, სადაც ის ყველაზე ნაკლებად მოგველის.

მაგრამ მარტო ეს არ კმარა—დაჰფარო შენი მოქმედება მტრისაგან.

ჩვენ შეგვიძლია ვიმოძრაოთ მტრისთვის სრულიად შეუმჩნევლად, კარგად შევეგუოდ ადგილმდებარეობას ან და შეუმჩნევი გავხდეთ კვამლის ფარდების საშუალებით, ბოლოს, ვიმოძრაოთ ღამით.

მაგრამ ფეხის ხმა, იარაღების, ზარბაზნების ხმაური, საბარგულეების რახრახი, განკარგულებანი, ხმამაღალი ლაპარაკი და სხვა ასეთები ადვილად შეუძლია გაიგოს მტერმა, რომელიც ამ ხმების მიხედვით შესძლებს გაარკვიოს არამც თუ მარტო ჩვენი მიმართულება, არამედ დაახლოებით ჩვენი ჯარების რაოდენობა და იარაღის გვრობაც.

მაშასადამე, ჩვენ უნდა დავფაროთ ყოველი ჩვენი ნაბიჯი და მოძრაობა არა მარტო მტრის თვალისაგან, არამედ მისი ყურისაგანაც.

ისეთი ზომების მიღება, რომლებიც შეუმჩნევს გახდის მტრისთვის ჩვენს ხმაურობას, ეწოდება ბგერათ-შენიღბვა.

აი რამოდენიმე დაცდილი მაგალითი, რომლის მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, თუ რა მანძილზე ისმის ხმები:

ფეხის ხმა გზაზე (განსაკუთრებით გზატკეცილზე) ისმის 300—400 ნაბიჯზე; ფეხის ხმა ნახნავ, რბილ მიწაზე ან ბალახში ისმის 70—100 ნაბიჯზე. განსაკუთრებით შორს მიდის ფეხის ხმა ზამთარში დატკეცილ მიწაზე; ასეთ შემთხვევაში ფეხის ხმა მიდის 1.000 ნაბიჯამდი.

ჩვეულებრივი ხმის ბგერა ისმის 1.000—1.200 ნაბიჯზე, ხოლო ხმამაღალი განკარგულება—გაცილებით უფრო შორს.

საკეტის ფრთხილი გამოღება ისმის 50 ნაბიჯზე, ხოლო ჩვეულებრივად—1.000 ნაბიჯამდი.

ყველაფერი ეს გვიჩვენებს, რომ რამდენადაც უფრო დაუახლოვდებით მტერს 2.000—1.500 ნაბიჯამდი, ბგერათ-შენიღბვა უნდა დაცულ იქნას სასტიკად. არავითარი ხმამაღალი განკარგულება, არავითარი ლაპარაკი, უნდა იარო ფეხშეუწყობლად, უმჯობესია რბილ მიწაზე (და არა გატკეცილ გზით). საჭურველი ისე უნდა იქნას მოსადაგებული, რათა ქვაბები და სხვა ასეთები არ ჟღარუნობდეს, ცხენის ფლოქვები შეხვეულ უნდა იქნას ჩვარით ან ტომრის ნახევით; საბარგულეები ისე უნდა იქნეს დატვირთული, რომ არ უნდა გაჰქონდეს რახრახი ბარგსა და სხვა.

საველე მეცადინეობის პირველ დღიდანვე უნდა დაცულ იქნას შენიღბვის ყველა ზომები, მასთან ბგერათ-შენიღბვისაც.

თუ რომ შენიღბვის დისციპლინას ყურადღება არ ექნება მიქცეული ომის დროს, ეს დაუდევრობა ბევრი ადამიანის მსხვერპლს შეიწირავს.

პ.

# შავი ქვის გატანა.

ფოთის ნავთსადგურიდან აპრილის 1—15-მდი გატანილ იქნა საფრანგეთში—900 ტონა (61 ფუთი), ჰოლანდიაში—5.249 ტონა და ამერიკაში 7.000 ტონა შავი ქვა.

# ტახტის მაძიებელნი.

რუსი ემიგრანტებს შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია მონარქისტებს, როგორც ორგანიზაციულად, ისე ნივთიერი შეძლებლობით, ისინი დღემდის ოცნებობენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამხობას საბჭოთა კავშირში და რომანოვების ტახტის აღდგენას. ისტორიისაგან ეს განწირული ხალხი იღვწის იმისათვის, რომ დაიბრუნოს ძველი დიდება და პატივი, მაგრამ ამაოდ.

ხანგრძლივი მზადების შემდეგ პარიზში სასტუმრო „მაჟესტიკ"-ში დიდი ზეიმით გაიხსნა მათი ყრილობა, ყრილობას დაესწრო 420 დელეგატი. პარიზი—და სხვა ადგილებიდან 350 კაცი, დანარჩენი სამხრეთ-სლავიიდან.

ჯერ კიდევ ყრილობის გახსნამდის ორი დღის წინ, როდესაც დელეგატები შეთანხმდენ საზეიმო სადილზე, მათი მთავარი ორგანო „ვოზრაჟდენიე" 4 აპრილს აცხადებდა დიდ მნიშვნელოვან დღეთ და ახალ ხანის დასაწყისად რუსი მონარქისტების მოძრაობის განვითარებაში.

დაივიწყა რა, პეტრე სტრუვეს გაზეთმა თავისი წინანდელი სიფრთხილე, კვლავ გატაცებული ჰპირდებოდა თავის მკითხველებს ბოლშევიკების უღლიდან განთავისუფლებას, როგორც კი გაიხსნებოდა ყრილობა 4 აპრილს სასტუმრო „მაჟესტიკში".

და ერთი დღის შემდეგ საშინელი იმედის გაცრუება. რაშია საქმე? რამ შეაშფოთა რუსეთის მხსნელი, ახალი დამფუძნებელი კრების მომწყობნი? უპირველეს ყოვლისა, სრული ბოიკოტი გარედან ე. ი. თვით ემიგრანტებიდან. გულგრილობა გამოიჩინეს არა მარტო ემიგრანტებმა, არამედ უცხოელებმაც, რომლიდანაც ისინი მოელოდენ თანაგრძნობას და დახმარებას. შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ ის ემიგრანტების განწყობილების გამომხატველად მაშინ როდესაც თვით კადეტებიც კი იმიჯნებოდენ იმათგან? რასაკვირველია, არა.

მილიუკოვის გაზეთმაც კი, სასაცილოდ აიგდო მონარქისტების ეს დამფუძნებელი კრება, სადაც გვირგვინი უნდა ეკურთხებიათ რომელიმე რომანოვისთვის. რომლის მრავალრიცხოვან რომანოვების საგვარეულოდან ბევრი მოსურნეა ტახტის და მონარქიის მძიმე გვირგვინის.

მთავარი მათი დაქსაქსვის მიზეზი არის ის დაუსრულებელი კინკლაობა დელეგატებს შორის, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ ყრილობის გახსნამდის. ორგანიზაციული ბრძოლა მემარჯვენეთა და უკიდურეს მემარჯვენეთა შორის გადაიქცა სკანდალათ ყრილობის საზეიმო გახსნის წინ პარაკლისის გადახდის გამო. უკიდურესი მონარქისტები მოითხოვდენ, რომ პარაკლისი გადაეხადა მიტროპოლიტ ანტონის, დანარჩენი „ხალხის არჩეულნი" კი ენერგიულად მოითხოვდენ პარაკლისი შეესრულებია „დასავლეთ-ევროპის ეკლესიის თავს" მიტროპოლიტ ევლოგისა ამ პარაკლისის საკითხი შეიქმნა მათთვის შუღლის და კინკლაობის წყაროთ.

იმუქრებოდენ ყრილობიდან წასვლით აგრეთვე კაპიტალისტები. ოცი კაცი არჩეულნი ყრილობაზე მსხვილი ვაჭარ-მრეწველთაგან ჰქონდათ საფუძველი დამფრთხალიყვენ იმ ოფიცრების გამო, რომელნიც მოვიდენ სამხრეთ-სლავიიდან. ისინი ეკუთვნოდენ ფაშისტურ ორგანიზაციას და იყვნენ წარმომადგენელნი მსხვილი მიწათმფლობელი გენერლებისა. ამის გამო მოსალოდნელია ყრილობა წავიდეს ზოგიერთ დათმობაზე თავის „ვაჭარ-მრეწველთა ფრთის" სასარგებლოთ.

შემდეგი უსიამოვნება იყო თვით სტრუვეს მდგომარეობა. ყრილობის სულის ჩამდგმელი, გამოცდილი მზარეული, რომელიც მოწოდებულია მოამზადოს რთული პოლიტიკური კერძი თავის ბატონების სასარგებლოთ. მისთვის წინასწარ გამზადებული ყრილობის თავმჯდომარის სავარძელი გამოაცალა მიტროპოლიტ ანტონიმ, რომელიც არჩეულ იქნა თავმჯდომარეთ. თვით ყრილობაზე სტრუვე აურჩევლათ გაძვრა. ხმის დიდი უმრავლესობით ყრილობის პრეზიდიუმში გავიდენ უკიდურესი მემარჯვენეები. მემარჯვენეთა და უკიდურეს მემარჯვენეთა შორის ძალიან მცირე განსხვავებაა, მაგრამ ის ყრილობას მაინც ორად ყოფს.

დასასრულ მათ უნდა აერჩიათ „რუსეთის საზღვარგარეთის ბელადი", ან უკეთ რომ ვსთქვათ ემიგრანტებს გვირგვინი უნდა ეკურთხებიათ ნიკოლოზ ნიკოლოზისძე რომანოვისათვის. მაგრამ ეს გარემოება შეიქნა მათთვის საბედისწერო, რომელმაც დაღუპა და დამარხა ყველა მათი იმედები.

ჯერ კიდევ ყრილობის გახსნამდის, სტრუვე და მარკოვ-მეორე ესტუმრენ ნიკოლოზ ნიკოლოზისძეს და იქიდან დაბრუნდენ შეშინებულნი და აცნობეს საორგანიზაციო კომიტეტს ყოფილ დიდი მთავრის უარისთქმა იმის შესახებ, რომ ის ყოფილიყო გვირგვინოსანი. ფიქრობდენ, რომ საბოლოოდ საქმეს მოაგვარებდენ, მაგრამ უკანასკნელ დროს მან გამოუგზავნა წერილი ყრილობას, სადაც ის უარს ამბობდა ახალ ტიტულზე და მეფეთ არჩევაზე.

საზღვარგარეთის თეთრგვარდიელები, ამ ახალ ცდის გამო, მოეწყოთ თავის ორგანიზაცია—კვლავ გატეხილ გობის წინ დადგენ, უმეფოთ და უტახტოთ. მათ შედეგათ მიიღეს სასტუმრო „მაჟესტიკის" ვახშამი და ორი მიტროპოლიტი.

რუსი მონარქისტების საქმე საბოლოოდ დაღუპულია. თვით ახლანდელი მათი ბელადი, რომელმაც ერთ დროს გულმოდგინეთ სთარგმნა მარქსის კაპიტალი და შემდეგ განიცადა აზროვნების განვითარება მარცხნით და მარჯვნით ამაში დარწმუნდება, როცა საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების დიქტატურის სიმძიმე დაჰფარავს მათ გვამებს. მანამდის კი იოცნებონ და ივახშმონ სასტუმრო „მაჟესტიკში" მიტროპოლიტებთან ერთად. თ. გ.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ხშირად ასეთი კრებები.

**ამხ. კვირიკაძის მოხსენება.**

16 აპრილს შესდგა პირველი ლეგიონის შემადგენლობის გაერთიანებული კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა დივიზიის კომისარი კვირიკაძე, დისციპლინის შესახებ.

ამხ. ვრცლად გაგვაცნო მისი მნიშვნელობა. მოიყვანა სხვა და სხვა მუხლები სადისციპლინო წესდებიდან, თუ დისციპლინის დარღვევისათვის როგორი სასჯელია დაწესებული და რამდენი შემთხვევა იყო დივიზიაში დისციპლინის დარღვევის. შეეხო წითელ არმიელების მდგომარეობას და მიუთითა ზოგიერთ ნაკლულოვანებაზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დივიზიის ცხოვრებაში ამ ორი თვის განმავლობაში და რომლებიც დაუყონებლივ უნდა იქნეს გამოსწორებული, სადაც ასეთი არ მომხდარა.

შემდეგი მოხსენებით გამოვიდა ლეგიონის სამხკომი. მან მოიყვანა ზოგიერთი ასეთი ფაქტები ლეგიონის ცხოვრებიდან, მაგრამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ შემჩნევისთანავე სასწრაფოდ იღებოდა ზომები მათ გამოსასწორებლად.

დასასრულ მიღებული იქნა სათანადო რეზოლიუცია ერთხმად.

კარგი იქნება ჩვენი ხელმძღვანელები ხშირად გააკეთებდენ ასეთ მოხსენებებს ნაწილების მდგომარეობისა და დისციპლინის შესახებ.

სამხკორი ჩაგელიშვილი.

## ლენკუთხეების მუშაობა ძლიერდება

**1-ლი არტლეგ. მე-4 საგაუბიცო ბატარეია**

ლეგიონში ლენკუთხეებზე დაინტერესებაამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხმამაღლა მკითხველ და საუბრის ჩატარების ბირთვები. აქ მასიურად იყრიან წითელ არმიელები თავს.

საჭირო ბირთვების ხელმძღვანელები შესაფერ ზომებს მიიღებდენ იმაზე, რომ არც ერთი წევრი არ დარჩეს დავალების გარეშე. ყველა უნდა გააქტიურდეს. მაშინ მივაღწევთ დასახულ მიზანს.

კონკურსის ჩატარებისა და მათი შეფასების შემდეგ ლენკუთხეების მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა. ამოქმედდენ კუთხეებში არსებული ყველა ბირთვები. გაიზარდა მათდამი წითელ არმიელების ლტოლვა და თითქმის ყველანი ესწრებიან.

ამჟამად ყველა ბირთვების წევრთა რიცხვი ერთიორად და მეტად გაიზარდა. ასეთი შედეგი მოიტანა კონკურსის ჩატარებამ და წითელ არმიელების

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

## ვემზადებით ცვალებადელთა შესახვედრად

**მე-4 ლეგ. 1-ლი ტყვიამფრქვევი ასეული.**

ლეგიონის შემადგენლობასთან ამ ბოლო დროს სისტემატიურად ტარდება გაძლიერებული მუშაობა ყველა დარგებში. სამხედრო საქმესთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა პოლიტიკურსა და კულტურულ საქმიანობას. ყველაფერში ისეთი სახით სწარმოებს მუშაობა, როგორც ეს უფრო ხელსაყრელია ცვალებადელთა შეხვედრისათვის.

წითელ არმიელებს ამზადებენ, ასწავლიან თუ როგორი დამოკიდებულება უნდა იქონიონ ცვალებადელებთან და როგორ მიუდგენ მათთან მუშაობას.

ცვალებადელებს ველით მაისის პირველ რიცხვებისთვის.

აქედანვე სჩანს, რომ შედარებით წარსულთან უფრო ნაყოფიერად ჩატარდება მათთან მეცადინეობა.

სამხკორი ს. პოპიაშვილი.

## აქტიურ ამხანაგების რიცხვი იზრდება

**მე-4 ლეგ. მე-9 ასეული.**

ასეულში მრავალი წრეებია დაარსებული. მრავალია მათში წითელ არმიელები მსმენელებად. ხელმძღვანელები დიდი ყურადღებით ეკიდებიან მუშაობის გაცხოველებისათვის მუშაობას. აძლევენ დავალებებს წრის წევრ-წითელ არმიელებს და ისინიც გულმოდგინეთასრულებენ მას.

დრამატიულმა წრემ, სამაზრო კომკავშირის დახმარებით ჯერ-ჯერობით ხუთჯერ დასდგა წარმოდგენა. ორჯერ წვევამდელებთან, ერთჯერ საშეფო სოფელში და ორჯერ სამაზრო კლუბში.

ზოგიერთი წარმოდგენები იყო ფასიანი. შემოსული თანხა მოვახმარეთ ლენინის კუთხის გამშვენიერებას. შევიძინეთ ასეულისთვის აგრეთვე ფეხბურთი. განზრახულია ასეთი წრის ჩამოყალიბება, რასაც სიხარულით მოელიან წითელ არმიელები.

ასეულის წითელ არმიელების გააქტივების საქმეს კერძოთ სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული. ამაში ხელს გვიწყობენ ჩვენი მეთაურებიც. გვაქვს კავშირი აგრეთვე სოფლებთან და ვგზავნით საუბრების ჩასატარებლად წითელარმიელებს.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

## დაიწყეს სანიტსაათების ჩატარება

**სამხედრო ჰოსპიტალი.**

ამ უკანასკნელად ჰოსპიტალში ქართველ ავადმყოფ წითელ არმიელებთან ხშირად ატარებს საუბრებს სხვა და სხვა ავადმყოფობის შესახებ ექიმი აბულაძე.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ვენერიულ ავადმყოფობას, გვიხსნის დაწვრილებით მათი გავრცელების მიზეზებს, ფორმებს, როგორი ზიანი მოაქვთ ადამიანის გონებრივ განვითარებისათვის, რა უბედურების მოტანა შეუძლიათ კიდევ სხვა მხრივ და სხვა ასეთები.

წითელ არმიელები მრავალ შეკითხვებს აძლევენ. ყველა ინტერესით ეკიდებიან ექიმის გაფრთხილებას.

კარგი იქნება არ შესწყვეტდეს ექიმი ამ საუბრებს და ხშირად აწარმოებდეს.

სამხკორი ჩადუნელი.

## ჩვენი ნაწილების ექსკურსიები.

### სარევოლიუციო მუზეუმში

**ცხენოსანი ესკადრონი.**

ესკადრონში დილიდანვე ვიცოდით, რომ 11 აპრილს უნდა წავსულიყავით სარევოლიუციო მუზეუმის დასათვალიერებლად. 10 საათზე ხელმძღვანელებმა მოგვიყარეს თავი და გავეშურეთ წითელი არმიისა და ფლოტის სახლისკენ. აქ დაგვიხვდა ქართული სექციის გამგე ამხ. დ. ჰანტურიშვილი, რომელმაც დაგვიარონია ყველა ოთახები და დაწვრილებითი ახსნა-განმარტება მოგვცა თითეულის მნიშვნელობის შესახებ. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წითელარმიელებზე სკოლის გარეშე მუშაობის კაბინეტმა, სადაც გამოფენილია წითელარმიელებისაგან გაკეთებული „სანიმუშო ქოხ-სამკითხველოს“ მოდელი.

12 საათზე კი გავეშურეთ სარევოლიუციო მუზეუმში. მუზეუმის ადმინისტრაციამ მოგვცა ერთი ხელმძღვანელი ამხანაგი, რომელიც დაწვრილებით გვიხსნიდა მუზეუმში მოთავსებულ თითეულ ექსპონატის მნიშვნელობას.

წ. არმ. ვათიაშვილი.

### ექსკურსია რადიო სადგურზე.

**მე 2 საკავშირო ასეული.**

ასეულის წაყვანის საქმე რადიო სადგურზე თავს იდვა ნაწილის სამხედრო წრემ. დილის თერთმეტ საათზე უკვე დანიშნულ ადგილას ვიყავით, სადაც სიამოვნებით მიგვიღეს და თან მოგვცეს ხელმძღვანელები, რომლებიც დაწვრილებით გვიხსნიდენ თითეული მანქანის დანიშნულებას. წითელარმიელები მრავალ შეკითხვებს აძლევდენ სხვა და სხვა აპარატების შესახებ. იქვე ჩვენი თვალის წინ გამოაძახა სხვა და სხვა სადგურები და გვაყურებია თუ როგორ სწარმოებს ცნობის მიღება და გადაცემა. ექსკურსიამ ძლიერ ასიამოვნა წითელარმიელები. კარგია ხშირად მოგვიწყობდენ ასეთებს.

წ. არმ. დ. მათიაშვილი.

# ფელეტონი

(სამხკორთა წერილებიდან)

### ბატონი (მხოლოდ სიტყვა).

არა, ბატონო!
კი, ბატონო!
მესმის, ბატონო!
ბატონო, ბატონო და კიდევ ბატონო.

ქართლ-კახელები უჩივიან მეგრელ-იმერლებს:

— კაცო, ე რა ხალხი ყოფილა, უბატონოთ ფეხს არ გადადგამენ. განა ჩვენ არ გვყავდა ბატონები, მაგრამ არ გავიძახით ამ სიტყვას წამ და უწუმ. მოვიშორეთ ბატონები, ეგ სიტყვაც მოვიშოროთ. მორჩა და გათავდა.

ხომ გაგიგონიათ „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია“-ო, ალბათ „ეკნარო“ შენც გაგეგონება. რა ვუყოთ ეხლა იმ მეთაურებს, რომლებსაც ეს სიტყვა ბატონი ასე ძალიან შეჰყვარებიათ? (თუმც მარტო მეთაურები კი არა, ხშირად წ.-არმიელნიც არიან ამაში დამნაშავენი). მოდი თვითონ სიტყვა „ბატონის“ მოყვარულებს მივანდოთ ამ საკითხის სათანადოთ მოგვარება-გადაჭრა.

### ცხენოსანი უმეკოვი.

„მიყვარს რაშის ჭენება,
ასეა ჩემი ნება“.

გაიძახის 1-ლ ცალკე საკავშირო ასეულის მეჯინიბე უმეკოვი და მიაქროლებს ქუჩაში ასეულის ცხენს. უკან შემოუჯენია ბავშვები და ასე ამხიარულებს ქუთაისის „მიყრუებულ“ ქუჩებს.

აბა ნახეთ უმეკოვი, როდესაც შეაყენებს ცხენს ყალყზე ან როდესაც გადაახტუნებს რომელიმე დანგრეულ „ზაბორზე“, ვაშას ძახილი აყრუებს რიონის ხმა-მაღალ ღრიალს.

ამ დროს ეძებენ უმეკოვს საქმეების გამო; ვინ იპოვის უმეკოვს, სად მოსძებნით მას.

ამბობენ, ზოგი ერთი ცხენს ვერ გაუძლია უმეკოვის ჭენებისათვის და „გადასახლებულა ნალებით წიაღსა შინა აბრაამისასა, სადაც ცხენები განისვენებენ“.

### მაწონი მჟავეა, შაქარი ტკბილია.

რამდენჯერ წამიკითხია ეს თქმულება „დედა-ენაში“.

თუმც პატარაობიდანვე თვალსაჩინოთ შევიგნე, რომ შაქარი ტკბილი და მაწონი მჟავეა, მაგრამ ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობდი ამ ფრაზას.

ალბათ ჩემსავით კარგათ აქვთ შეგნებული ეს ზოგიერთებს მე 4 ლეგიონიდანაც. „დებულობენ შაქარს ზემდეგები და აუწონლათ გვაძლევენ, რვა მისხალი არისო. ხშირათ აგვიწონია შაქარი და გამოსულა ხან ოთხი მისხალი, ხან კიდევ ნაკლები“.

იფ! ლაზათ!

რას იტყვით ჰა? მართლა რომ ლაზათიანია.

აი, ამასა ჰქვიან „მაწონი მჟავე, შაქარი ტკბილია“.

ე. ხ.

# სამხედრო ქრონიკა

## მზადება მორიგი გამოწვევისათვის

**განზრახულია კენჭის ყრის მოსპობა**

მიმდინარე წლის შემოდგომაზე მოხდება 1904 წელში დაბადებულ 1-ლ იანვარში 21 წლის შესრულებულ მოქალაქეთა მესამე ნორმალური გამოწვევა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. ყველა ოლქებში უკვე დაწყებულია საგაწვეო მზადება. ტერხამმართველოები და სამხედრო კომისარიატები აწარმოებენ საგამოწვეო სიების გადასინჯვას, რომელიც დამთავრდება 1-ლი აპრილისათვის.

აპრილიდან სამაზრო საგამომწვეო კომისიები შეუდგებიან საგამომწვეო სიების განხილვას, როგორც ქალაქებში ისე სხვაგან, შეღავათების განსაზღვრისათვის და იმ მოქალაქეთათვის კატეგორიების დაწესებას, რომლებიც ისარგებლებენ შეღავათებით ოჯახურ და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. შემდეგ ჩატარდება საგამომწვევო სიების შესწორებასა და შეცვლისათვის მუშაობა იმ მოქალაქეთა საჩივრების მიხედვით, რომლებიც უკანონოდ იქნენ შეტანილი ამ სიებში.

მომავალი გამოწვევა იწარმოებს „მუშურ-გლეხური წითელი არმიაში მორიგი გაწვევის დროებითი სახელმძღვანელოს“ თანახმად, დებულების იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც ლაპარაკობს კენჭის ყრის წარმოების წესზე.

საქმე იმაშია, რომ მუშურ-გლეხური წითელ არმიაში ორი წარსული ნორმალური გამოწვევის გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ კენჭის ყრის წესი, რომელიც დაწესებული იყო სახელმძღვანელოდ, უნდა შეიცვალოს. ეს საკითხი დამუშავების პროცესში იმყოფება ბოლომდე და უნდა დამთავრდეს გამოწვევის დაწყებისათვის. ადგილები თავის დროზე მიიღებენ ცნობებს კენჭის ყრის წესის წარმოების შესახებ. მორიგი გაწვევის გატარების შესახებ დროებითი სახელმძღვანელოს თანახმად, კენჭის ყრის სისტემა შემდეგში გამოიხატება: საგამოწვევო სიების გადასინჯვისა და გაწვეულთა საბოლოო რიცხვის გამორკვევის შემდეგ, დაიწყება კენჭის ყრა და გაგრძელდება 1-2 დღე. კენჭის ყრაზე ცხადდება ყველა, რომლებსაც კი ეხებათ გაწვევა, თითეული რაიონიდან. კენჭის ყრის გარდა, გაწვეული უნდა გამოცხადდეს ხელმეორედ საექიმო შემოწმებისათვის. ამის შემდეგ ის ვალდებულია გამოცხადდეს მესამედ ჯარის ნაწილში გადასაგზავნათ. ასეთი სისტემა დიდ ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას და აცილებს მუშაობას მშრომელთა ძალის საგრძნობ რაოდენობას, ამასთანავე იწვევს მატერიალურ დაბრკოლებებს. ახალწვეულების მასიურად თავის მოყრა შესაკრებ წერტებზე არღვევს მოსახლეობის ნორმალურ ცხოვრებას და შეუძლებელი ხდება ახალწვეულების უზრუნველყოფა სანოვაგითა და ბინით. აი ის მთავარი მიზეზები რამაც გამოიწვია კენჭის ყრის სისტემის გადასინჯვა.

—

მიმდინარე წლის შემოდგომაზე გაშვებულ იქნებიან უვადო შვებულებაში წითელ არმიელები დაბადებულნი 1902 წელში, რომლებიც გაწვეულ იქნენ ნამდვილ სამსახურში 1924 წლის შემოდგომაზე.

სამხ. სარევ. საბჭოს ბრძანება უვადო შვებულებაში დათხოვნაზე გამოიცემა მის შემდეგ, როდესაც გამოქვეყნებული იქნება ბრძანება მორიგ გაწვევაზე 1904 წელში დაბადებულ მოქალაქეების.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ჩვენი პარტსკოლა

მე-2 არტლეგიონი

ჩვენი პარტსკოლის მეცადინეობა დღით-დღე ძლიერდება. შემოღებულია უკვე კონსპექტების შემოღების წესი თვით მსმენელების მიერ. დიდი ნაყოფი მოაქვს აგრეთვე სკოლის მასალების ხმამაღალ კითხვას.

ერთი უმთავრესი დაბრკოლება იყო—წიგნების უქონლობა, მაგრამ ამ ჟამად ეს გარემოებაც მოგვარებულია. სკოლის ბიბლიოთეკა შეძლების დაგვარად იძენს საჭირო წიგნებს. კურსის დამთავრების დროს (5 მაისი) მსმენელებს საშვალება ექნება უფრო საფუძვლიანად შეითვისონ საგნები.

პარტკორი პაპოვი.

## 1-ლი ლეგიონის მეშვიდე ასეულის უჯრედში

13 აპრილს შესდგა ასეულის კომუჯრედის ღია კრება, რომელზედაც მოხსენება იქნა გაკეთებული ასეულის საკავშირო კომისიის მიერ მისი მუშაობის შესახებ.

მოსმენილი იქნა მოხსენება აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. საკავშირო კომისიის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად აღიარა.

დასასრულ არჩეული იქნა საკავშირო კომისიის ხელახალი შემადგენლობა. საერთაშორისო მდგომარეობის გარშემო მოხსენებაში აუარება წითელ არმიელებმა მიიღეს მონაწილეობა შეკითხვებით.

იმედია წითელ არმიელთა ასეთი აქტიურობა არ შესუსტდება მომავალშიც.

სამხკორი ნიკოლეიშვილი.

## კავშირის გამოცოცხლება 6 ლეგ. 3-ე ათასეულში

მრავალი დაბრკოლებები უშლიდა ხელს ათასეულის ახკომკავშირს ნორმალური მუშაობის წარმოებაში, რადგან მისი წევრები დაფანტული იყვენ პერიფერიებში. მიუხედავათ ამისა ა. ლ. კ. კ. წევრები მაინც აწარმოებდენ მუშაობას სოფლებში—წერტებზე. აკეთებდენ მოხსენებებს სოფლების ჩამორჩენილ უჯრედებში და ხელმძღვანელობდენ მათ.

წერტებიდან დაბრუნების შემდეგ ათასეულის ა. ლ. კ. კ. ისევ შეუდგა გაერთიანებული ძალებით მუშაობას. ყოველ ორ კვირაში ხდება გაერთიანებული კრებები. ვსწავლობთ 14 პარტყრილობისა და ახკომკავშირის ყრილობის რეზოლიუციებს და ვატარებთ მათ ცხოვრებაში.

კავშირი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე ათასეულში არსებულ წრეებში და სხვა კულტურულ პოლიტიკური ხასიათის საქმიანობაში.

სამხკორი ვ. სვანიძე.

## ავია-ქიმის უჯრედს სძინავს.

მე 6 სე ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში კარგი ხანია, არ მომხდარა ავია-ქიმის უჯრედის კრება. ზედმეტია ლაპარაკი ამ ორგანიზაციის მნიშვნელობაზე ნამეტურ ჩვენს სამხედრო ნაწილებში, რომლის მიზანს შეადგენს, რომ ყველა წითელი არმიელი უნდა გახდეს მისი წევრი. ამას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ თუ სისტემატიურად მოეწყობა კრებები. უნდა ტარდებოდეს სხვა და სხვა კამპანიები მის სასარგებლოთ. განსაკუთრებით კი ეს მუშაობა მოისუსტებს ჩვენს ლეგიონში. საჭიროა ხელმძღვანელებმა გამოიღვიძონ და გააცხოველონ საქმიანობა.

სამხკორი ნინუაკუთხელი.

# უცხ არმიებში

### უკვე შეათვალთვალეს ფრონტები.

საფრანგეთის სამხედრო სამინისტრომ გამოიმუშავა არმიის რეორგანიზაციისათვის პროექტი, რომლითაც არმიის ძირეულ შემადგენლობამ მშვიდობიანურ დროს უნდა მიიღოს საუკეთესო სამხედრო მომზადება. შეცვლილია ახალგაზრდობის ჯარში გაწვევის, მათი განაწილებისა და სამხედრო მომზადების წესები. სამსახურის ვადა შემოკლებულია.

სამობილიზაციო გეგმას გათვალისწინებული აქვს ომიანობის დროსათვის არმიის ახალი შემადგენლობა. წინასწარ არის აღნიშნული მომავალი ფრონტები. ყველა ოპერაციების ხელმძღვანელობა ევალება გენერალს ან მარშალს, რომელიც თავისი შეხედულებისამებრ ნიშნავს საფრანგეთის არმიების მთავარ სარდლებს. მოკავშირეთა ყველა არმიების მთავარ სარდალი კი ინიშნება ომში მონაწილე მოკავშირე მთავრობებისა ან სახელმწიფოების მიერ.

### არმია იშლება

ბელგიაში დიდი ხანია, რაც სწარმოებს კამათი სამხედრო სამსახურის ვადის 10 თვემდე შემცირების შესახებ. არმიის ძირეული შემადგენლობაც უნდა შემცირდეს. ამის გამო განზრახულია ტერიტორიალური სისტემის შემოღება 5—6 თვის ვადის სამსახურით. ამასთანავე ერთად შემოღებული იქნება ახალგაზრდობის წვევამდე მზადებაც.

## ამხ. განდელაძის ხსოვნას

15 აპრილს 1-ლი ლეგიონის სამნეო გუნდის წითელ არმიელების რიგებს სამუდამოთ გამოაკლდა სამაგალითო წითელ არმიელი, კარგი ამხანაგი და ყველასათვის საყვარელი ამხ. აკაკი განდელაძე. ჩვენმა გუნდმა ამხ. აკაკის სახით დაჰკარგა მეტად პატიოსანი, ენერგიით აღსავსე და თავისი მოვალეობის მტკიცედ ამსრულებელი ადამიანი. 15 აპრილი გუნდის წითელ არმიელთა და უფ-პოლიტშემადგენლობისათვის მწუხარებით მოსაგონარი დღეა.

ძვირფასო აკაკი! მთელი ერთი წლი-ნახევრის განმავლობაში შენ ერთგულად და მტკიცეთ ემსახურებოდი მშრომელი ხალხის საკეთილდღეო საქმეს, მაგრამ დაუნდობელმა სიკვდილმა არ იოგცა საშვალება კვლავ განგეგრძო ის.

ჩვენ ფიცს ვსდებთ ამხანაგის ხსოვნის წინაშე, რომ ერთგულად ვემსახურებით იმ საქმეს, რომელსაც ის ისე გულმოდგინეთ ეკიდებოდა. მისი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ჩვენში.

წ. არმ. დავალებით ა. მსხილაძე.

## ახალი ამბავი.

— მიღებულია და ახლო ხანში დარიგდება პროგრამები და მითითებანი ერთეულებში მყოფ საშუალო და უმაღლეს განათლების წითელ არმიელებზე რომელთაც უნდა იმსახურონ ერთი წლიწადი და შემდეგ ჩააბარონ გამოცდები თადარიგის ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე.

წიგნი გლეხკომებზე გამოვიდა და ყველა გლეხკომებს დაურიგდება ამხ. კ. ხომერიკის წიგნი „გლეხკომების მუშაობის მიმოხილვა“.

— ტფილისში ამჟამად მოქმედებს 18 საინვალიდო არტელი.

— ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გაიხსნება 9 მაისს.

— ნავთის სინდიკატმა საფრანგეთში გაგზავნა 6.000 ტონა მინერალური ზეთი.

— მეფუტკრეობის კურსები. მაისში ტფილისში გაიხსნება მეფუტკრე-ტეხნიკოსთა კურსები.

— ჯანსახკომმა დაადგინა ჩაატაროს მალარიასთან ბრძოლის კამპანია ივნისიდან.

— სანიტარული აბანოები. ჯანსახკომი ხსნის ლეჩხუმის, რაჭის და დუშეთის მაზრებში სანიტარულ აბანოებს.

— ტრაქტორების მიღება. ამ.-კავკ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო 250 ტრაქტორი.

## ამბები სოფლებიდან.

— კოოპერატივის გახსნა. ხულოს სამაზრო აღმასკომი (აჭარაში) სხალთის თემში ხსნის კოოპერატივს.

— სიმინდის ფასი. სამტრედიაში ამჟამად სიმინდი ფასობს ფუთი 80 კაპ.

— აჭარის საკრედიტო კოოპერაციამ მაზრების გლეხობას დაურიგა 2.000 ფუთი სიმინდი.

— ფართლის მიღება. ცეკავშირის ქუთაისის განყოფილებამ მიიღო 1 ვაგონი ფართლეული, რომელიც დაუნაწილდება სოფლის კოოპერატივებს.

— ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე სოფ. გოგაშენში წყალსადენის გასაყვანათ თანხების გაღების შესახებ.

ტერისტემაზე გადასვლა გამოიწვევს ზედმეტ ხარჯებს. ეკონომიისათვის სამხედრო სამინისტროს განზრახული აქვს შეამციროს არმიაში ოფიცრებისა და უნტერ-ოფიცრების რიცხვი. მოახდინეს დაკითხვა თუ ვის სურდა წასულიყო დემობილიზაციაში. შედეგები გასაოცარი მიიღეს. 5.000 ოფიცრიდან სურვილი გამოსთქვა 700 კაცმა დასტოვონ არმიის რიგები. ხოლო 7500 უნტეროფიცრებიდან 1000 კაცია თანახმა წასვლაზე. 61 გენერალიდან 12 სტოვებს სამსახურს. რაღა უნდა ითქვას ასეთ შემთხვევაში ჯარის კაცებზე, როდესაც ოფიცრები გარბიან სამსახურიდან.

### ცვლილება იტალიაში

იტალია ცდილობს გაადიდოს თავისი არმია 30 დივიზიამდე. ამას გარდა შედგენილი იქნება აგრეთვე სპეციალური საარმიო კორპუსი. სანაპირო დივიზიებიც გაძლიერებული იქნებიან. საველე არტილერია (30 ლეგიონის შემადგენლობით) გადაკეთებული იქნება საინჟენერო-საარტილერიო კორპუსათ. მის გასაძლიერებლად შესდგება ორი რადიო პოლკი.

დიდი ყურადღება ექცევა ტანკებით შეიარაღებულ ნაწილებს შექმნას. დიდი ინტერესით სწავლობენ ამაფეთქებელ ნივთიერებებს. ამისათვის შექმნილია განსაკ. კომიტეტი, რომელშიდაც შედიან სპეცები, არმიიდან საჰაერო და საზღვაო ფლოტიდან. არმიის სათავეში სდგას გენერალური შტაბი და ოთხი საარმიო სამმართველოები. სახელმწიფოს მთელი ტერიტორია დაყოფილია 10 ოლქათ. მობილიზაციის ჩქარი ჩატარებისათვის წესდება ინსპექტორები. სამსახურის ვადა 18 თვეა.

## ჩვენი ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

ცხადდება, რომ გაზეთის გამოწერის დროს მისამართები უნდა იწერებოდეს გარკვევით, ნაჩვენები მაზრა, თემი, სოფელი, რკინის გზის სადგური და სხვა. მხოლოდ ამ შემთხვევაში არ დაიკარგება გაზეთი, წინაალმდეგ შემთხვევაში გაზეთის მათ მიერ მიუღებლობაზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

## პასუხი შეკითხვებზე

— მა—ოვს. გადაყვანილი არ იქნებით. ბრ. №834—25 წ.

— მარიაშვილს. მოკლე ვადიანი შვებულება მოგეცემათ მხოლოდ განსაკუთრებულ ოჯახურ მიზეზების გამო ბრ. №925—25 წ.

— გ—ს. მეცადინეობიდან განთავისუფლებული არ იქნებით.

— გე—ას. უვადო შვებულებაში წახვალთ ა. წ. შემოდგომაზე ბრ. 965—25 წ.

— ილოს. გაზაფხულზე არავითარი გაწვევა არ იქნება.

— გელაშვილს. თქვენი ძმა გაწვევის დროს ისარგებლებს მესამე ხარისხის შეღავათით. ბრ. №965—25 წ.

— მეხიშვილს. თქვენი წინანდელი სამსახური ნამდვილ სამხ. სამსახურად არ ჩაგეთვლებათ. სამხ.—საზღ. კომ. ცირკულიარი №71 და 102—25 წ.

— ლეოს. არ გაქვთ ისეთი საბუთები, რომ გადაყვანილი იქნეთ ტერნაწილში ბრ. №834—25 წ.

— მეტრეველს. ბანკიდან ფულის სესხად გამოტანა შეიძლება მეურნეობის აღდგენის მიზნით. ცირკულიარი №928—25 წ.

— ნოსირელს. პირველ ხარისხის შეღავათებით არ სარგებლობთ.

— გელათელს. გადაყვანა ერთიდან მეორე ნაწილში აკრძალულია. ბრ. №834— 25 წ.

— ალ. მ. ცოლის შესართავად მოკლე ვადიან შვებულებაში დათხოვნილი არ იქნებით.

— ბესოშვილს. არ გეკუთვნით.

— ამაღლობელს. ავადმყოფობის გამო შვებულება იძლევა სამი თვიდან ექვს თვემდე.

— გ. თქვენ ეკუთვნით შემოდგომაზე გაწვეულთ.

— ბოჭორიშვილს. თუ თავისუფალი ადგილი იქნა უნდა მოგეცეთ პირველ რიგში.

— აბულაშვილს. გათავებული უნდა გქონდეთ მეორე საფეხურის სკოლა.

— ლეკვეიშვილს. ა. წ. შემოდგომაზე.

— შიუკაშვილს. „მაჩ“-ის საშვალებით გამოარკვიეთ, რომ ნამდვილად დაბადებული ხართ 1897 წ. და არა 1903 წ. და ეს საბუთი წარადგინეთ მთავარ მიმღებ კომისიაში.

— ღამბაშიძეს. მიეცემა.

— ფარგალს. არ მოგეცემათ.

— ჩიქობავას. მიმართედ გლეხკომს, რომ მან მოაწესრიგოს თქვენი ოჯახის საქმე.

— რიონელს. თუ გადამწერის კურსები გაათავეთ უნდა იმსახუროთ სამი წელი, თუ არა ორი.

— დიტოს. მიმართედ ლეგ. ექიმს.

— დაინტერესებულს. ორი წლის სამსახური განსაზღვრულია სავალდებულო სამხ. სამსახურის კანონით. (ბრ. №965—25 წ. მუხ. 34).

## ჩვენი ფოსტა.

აზიკუროვს (2 ლეგ.) თქვენი წერილი „შორს ასეთი მოვაჭრეები“ ძლიერ უმნიშვნელოა ჩვენთვის. არ დაიბეჭდება.

მარინავას (2 ლეგ.) წერილი ლიტერატურულ გასამართლებაზე არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

სვანიშვილს წერილი მეცხვარეობაზე სრულიად გამოუსადეგარია ჩვენთვის. არ დაიბეჭდება.

იოსელიანს (3 ლეგ.) თქვენი წერილი „კლუბის მუშაობიდან“ ყველაზე უფრო ნაკლებ შეეხება კლუბის საქმიანობას. ის საკითხი, რომელზედაც თქვენ ჩერდებით წერილში ინტერესს მოკლებულია. არ დაიბეჭდება.

მოზაშვილს და ედილაშვილს თქვენი წერილები მეთაურების შესახებ არ დაიბეჭდება. ქება საჭირო არაა. წითელ ჯარში მომუშავე ისედაც სინდისიერად უნდა ეკიდებოდეს თავის მოვალეობას, წინაალმდეგ შემთხვევაში მას ადგილი არ ექნება ჩვენს რიგებში.

არველაძეს (1-ლი არტლეგ.) და სიმართლის მთქმელს (1-ლი ლეგ. მე-3 ასეული) თქვენი კორესპონდენციები „მიექცეს ყურადღება“ და „საქმეს ვერ გაგვიკეთებს“ გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

გოგრაძეს თქვენი ლექსი: „პირველი სხივი.“ არ გამოდგა. მოიწერეთ ნაწილის ცხოვრების შესახებ.

ექნარს (2 ლეგ.) შრაპნელს (გოსპიტალი) მ. ცქიფურიშვილს (პოლიტსკოლა) პ. ჭელიძეს, გოგოძეს (2 საკავშ.) რ—ძე-ს, ის. ჭ-იას და მსურველს თქვენი წერილები უმნიშვნელო საკითხებს ეხებიან. მოიწერეთ სხვაზე.

ვ-ნო მოქიას გაზეთის გამოსაწერი ფული და ცნობა მიღებულია 7 აპრილს. გაზეთი ეგზავნებათ 10 აპრილიდან.

გამვლელს. (1-ლი ლეგ.) ორშაბათ დილით შამოიარეთ აუცილებლად.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2-რე არტლეგიონის საგაუბიცო დივიზიონის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში კანდიდატად მიღების შესახებ ა. ლ. კ. კ. წევრებს. 1. ნადარეიშვილი ვლადიმერს, 2. ბურკაძე პარმენს, 3. რევიშვილი ბიქტორ.

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ.

საგაუბიცო დივიზიონის კომუჯრედის ბიურო.

ნ. დ. ს. ფ. სამხედრო სტამბა ქუცნოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.